ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 6

ქ. თბილისი 23.01.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს სხდომის მდივანი;

შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ცენტრის თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH – International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ);
თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა:
გიორგი მელაძე - დირექტორი;
თათია ზარქუა - იურისტი.

2. ა(ა)იპ „წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია“:
მიტროპოლიტი სერგი(ჩეკურიშვილი)-დირექტორი;
მღვდელი გიორგი (გაფრინდაშვილი)- დირექტორის მოადგილე;
გიორგი არჩუაძე - დირექტორის მოადგილე;
ნინო შუხოშვილი -საინფორმაციო მენეჯერი.

3. სპს საერო სკოლა „მაია მზარელუა“:
მაია მზარელუა-დირექტორი;
მარინა გვარამია-სასწავლო ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ქეთევან ბოტკოველი;
მაკა ნადარეიშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
მარინა სეხნიაშვილი;
ლეილა გველესიანი;
ნოდარ ანგურიძე;
თამარ ამზაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:15 საათზე. შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა სხდომის მდივნის არჩევის საკითხი. საბჭოს წევრები შეთანხმდენენ, რომ სხდომის მდივნის მოვალეობას შეასრულებდა თამარ ფხალაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ,,წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სპს საერო სკოლა „მაია მზარელუას" ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტებმა აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

ექსპერტის განმარტებით, სკოლის მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

1.1 ექსპერტთა განმარტებით შპს ,,ნიუტონის თავისუფალი სკოლა" მდებარეობდა ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, პირველ მიკრორაიონში, ბედიას ქუჩა №33 -ში, შპს ,,ნიუტონის თავისუფალ სკოლას" და შპს ,,განვითარების ცენტრს" შორის 2013 წლის 2 აგვისტოს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლას 7 წლის ვადით დროებით სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა 7166 კვ.მ ფართის ოთხსართულიანი შენობა,

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლას ჰქონდა 62 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, 2 სასადილო დარბაზი, სპორტული დარბაზი და ღია მოედანი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მუსიკის კაბინეტი, 2 ცეკვის დარბაზი, ხელოვნების სახელოსნო, საკონფერენციო დარბაზი და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახები. ექსპერტთა განმარტებით დასტურდებოდა, რომ სკოლა აღჭურვილი იყო 1880 მაგიდათა და სკამით, 147 კომპიუტერით, 72 სასკოლო დაფითა და 72 პროექტორით.

2. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის მიერ წარმოდგენილი 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას
ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან ერთად შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლა 2016-2017 სასწავლო წელს მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ შემდეგ სავალდებულო საგნებს: პროგრამირება (VII კლასი);გამოყენებითი მათემატიკა (III-V კლასები).
შემუშავებული იყო აღნიშნული საგნების სასწავლო პროგრამები.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი - ფოლკლორი და მითოლოგია კი ისწავლებოდა V, VI კლასებში. იმ მოსწავლეებისთვის, ვინც საჭიროებდა დახმარებას შექმნილი იყო სარეკომენდაციო კლუბები.
სკოლაში ძირითად საგნებად ისწავლებოდა ინგლისური და რუსული ენები, რომლებზეც მოსწავლეები იყოფოდნენ ენის ფლობის დონის მიხედვით. ინგლისური ენა ისწავლებოდა განსხვავებული პროგრამით და სახელმძღვანელოებით, რომელიც შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მასწავლებელთა მუშაობა ასახული იყო პორტფოლიოებში, რომლებიც მოიცავდა: სილაბუსებს, თემატურ გეგმებს, კალენდარულ გეგმებს, შეფასების რუბრიკებს, შესრულებულ დავალებებს, შემაჯამებელ სამუშაოებს და მათ ანალიზს, მოსწავლეთა განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების ნიმუშებს.
საბჭოს წევრმა თამარ ფხალაძემ დასვა შეკითხვა 55 წუთიან გაკვეთილებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსწავლეების სწავლის ხარისხზე. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თავად საგაკვეთილო პროცესი 45 წუთიანია. დამატებით 10 წუთი მოსწავლეებს ეძლევათ იმისთვის, რომ გაეცნონ საშინაო დავალებას, მიიღონ მასწავლებლისგან განმარტებები ბუნდოვან საკითხებთან დაკავშირებით. თუ მოსწავლეს ასეთი საჭიროება არ აქვს, მას შეუძლია ამ პერიოდში დაისვენოს.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ დასვა შეკითხვა კონტინგენტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ 7 პარალელური კლასი საკმაოდ ბევრი იყო

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი მელაძემ განმარტა, რომ 7 პირველი კლასი პირველივე წელს ჰქონდათ გახსნილი. მან დაადასტურა რომ, მართალია, მათ ინტერესს, ბიზნესის განვითარება წარმოადგენდა, თუმცა მათი მიზანი იყო დაწესებულებაში კვალიფიციური ადამიანური რესურსის არსებობა და სწავლების მაღალი დონე. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სკოლა შეძენილი ჰქონდა მიწის ფართი, სადაც აპირებდნენ სკოლისთვის უკეთესი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი შენობის აშენებას.

საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძე დაინტერესდა თუ რამდენ მოსწავლეზე იქნებოდა გათვლილი ახალი შენობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ახალი შენობა გათვლილი იქნებოდა 1600 მოსწავლეზე.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი მურღულია დაინტერესდა თუ რა გზებითა და მეთოდებით ახორციელებდა დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის მისიის განხორციელებას, ემსახურებოდა სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში ყველას ჰქონდა საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. სკოლაში ხდებოდა მოსწავლეთა წახალისება, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენება, მოსწავლეებს სკოლაში გამოიმუშავებდნენ თვითკონტროლის უნარს, ამის მაგალითი იყო, ის ფაქტობრივი გარემოება რომ სკოლაში არ იყო ზარი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ არსებული რესურსების გათვალისწინებით რა რაოდენობით სურდა განსაზვრულიყო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1700 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,ნიუტონის თავისუფალი სკოლისათვის" ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს ნიუტონის თავისუფალ სკოლას (ს/კ: 216313727) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700-ით.

2. ა(ა)იპ „წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის " ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა, მარინა სეხნიაშვილმა და ლეილა გველესიანმა. ექსპერტებმა აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები ავტორიზაციის თითოეული სტანდარტისათვის.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებაში დაფიქსირდა როგორც არსებითი, ასევე არაარსებითი ხასიათის ხარვეზები. მისი განმარტებით დაწესებულებაში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი ვიზიტის პერიოდშივე იქნა დაწესებულების მიერ აღმოფხვრილი კერძოდ,

- ვიზიტის დროს დაწესებულებამ მოიწვია პედსაბჭოს რიგგარეშე სხდომა, სადაც მოხდა ზოგიერთი საკითხის დაკონკრეტება და მისიაში ცვლილების შეტანა.
- დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები გაფანტული და დუბლირებული იყო შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. ვიზიტის დროს გიმნაზიის წარმომადგენლებმა შეიტანეს ცვლილებები და სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები გამიჯნეს შინაგანაწესისგან.
- გიმნაზიის დირექტორის მიერ გამოცემული იქნა ბრძანება, რომლითაც დაკონკრეტდა სპორტის სახეობები.
- ცვლილებები ასევე განხორციელდა დაწესებულების შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ ყველა მასწავლებელი აწარმოებდა პორტფოლიოს. პორტფოლიოში კლასების მიხედვით წარმოდგენილი იყო: თემატურ-კალენდარული გეგმები, გაკვეთილის გეგმების ნიმუშები, შეფასების ზოგადი რუბრიკები, ჩატარებული საკლასო და კლასგარეშე ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შესაბამისი შეფასების სქემები და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. თუმცა, კათედრის ხელმძღვანელთა სემესტრულ ანგარიშებში არ იყო ასახული მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების, აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი, რაცეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნას წარმოადგენდა, ექსპერტის განმარტებით ასევე არ იყო განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადა და არ ყოფილა დაკონკრეტებული, თუ რომელ კლასში რა გამოცდები ტარდებოდა, თუმცა ექსპერტის გამნმარტებით აღნიშნული ხარვეზები ვიზიტის დროს გამოსწორდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებების გამრავალფეროვნების შესახებ, რათა არ ყოფილიყო მხოლოდ ტესტური დავალებები.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გიმნაზიის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფდა 5 უსაფრთხოების კამერა, ხუთივე აკონტროლებდა ეზოს ტერიტორიას. მისი განმარტებით ვიზიტის დროს გიმნაზიაში დამატებით დამონტაჟდა 2 გარე პერიმეტრისა და 3 შიდა პერიმეტრის მაკონტროლებელი კამერა.

საბჭოს წევრი თამარ კაპანაძე დაინტერესდა გამოსწორდა თუ არა ყველა ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა დადებითად უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ დასვა შეკითხვა დაწესებულების მისიის იმ ჩანაწერის თაობაზე, რომლის თანახმადაც დაწესებულება ახორციელებდა სახელობო განათლებას. გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა ამის რეალიზაცია .

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ხდებოდა მეფუტკრეობის, თექის დამუშავების სწავლება. სკოლას ასვე ჰქონდა მეტალო-პლასტმასის ცეხი, სადაც ხდებოდა სახელობო სწავლება.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა ასევე განმარტა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურებას.

მისი განცხადებით, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით სავალდებულო საგნებად ისწავლებოდა საღვთო სჯული I-XII კლასებში, შრომა/მეხილეობა-მევენახეობა IX-X კლასებში, ძველი ქართული დამწერლობა V-VII კლასებში. ფაკულტატური საგნების სახით კი ისწავლებოდა მედავითნეობა, ჭადრაკი და გალობა. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა დამატებითი სავალდებულო საგნების სასწავლო პროგრამები.
საბჭოზე გაიმართა დისკუსია საღვთო სჯულის დამატებით სავალდებულო საგნად სწავლებასთან დაკავშირებით .

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანსა და კონსტიტუციურ ვალდებულებას ეროვნული სასწავლო გეგმის სრულად განხორციელება წარმოადგენდა. მისი განმარტებით, საღვთო სჯული ეს იყო ძირითადი ქრისტიანული მიმართულებების გაერთიანება. ადრე ისწავლებოდა რელიგია და კულტურა, რაც გრიგოლ მურღულიას განმარტებით, მხოლოდ წმიდა საგანმანათლებლო მიმართულებით ისწავლებოდა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო უნდა დაყრდნობოდა კონკორდატს, რომელიც საღვთო სჯულის ნებაყოფლობით სწავლების საშუალებას იძლეოდა. გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებისა და დაწესებულების წარმომადგენლების თხოვნით სხდომაზე მოახდინა საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-5 მუხლის ციტირება, რომლის თანახმადაც: საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა,

შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას."

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ გამოთქვა მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ თუ კი სახელმწიფო უშვებდა საღვთო სჯულის სავალდებულოდ სწავლების შესაძლებლობას, მაშინ ეს კონკრეტულად უნდა ყოფილიყო გაწერილი, რაც მისი განმარტებით, არ იკითხებოდა ზემოთმითითებულ ნორმაში. მისი განმარტებით, გაუგებარი იყო, თუ რა პრობლემას ქმნიდა საღვთო სჯულის, როგორც არჩევითი საგნის სწავლება იმ პირობებში, როცა კონკორდატი განსაზღვრავდა მის ნებაყოფლობითობას.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტისას მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმება.

მისი განმარტებით საღვთო სჯულში პროგრამით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა თემატიკა პირველი კლასის პროგრამა მოიცავდა შემდეგ თემებს: „ადამი და ევა", „კაენი და აბელი", „ნოეს ოჯახი", „უძღები შვილი" და სხვა. დაწყებით კლასებში (I-VI) იყენებდნენ საღვთო სჯულის სახელმძღანელოებს: "წყარო ცხოვრებისა", "ეკლესია მოციქულთა დროიდან", „ცხოვრება ღმერთთან ერთად", „სიყვარულით შექმნილი სამყარო".

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა და დირექციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები რეკომენდებული იყო საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ. მათი განცხადებით, საპატრიარქოს მხრიდან ხდებოდა ყოველწლიური მონიტორინგი სწავლების ხარისხის შემოწმების მიზნით. მე-9 კლასში ისწავლებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, ხოლო მე-10 კლასში - სხვადასხვა რელიგიების ისტორია და სხვ.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, პრობლემა ხელოვნურად იქმნებოდა და არაფერი დაშავდებოდა საგნის არჩევითად შეთავაზების შემთხვევაში, რადგან სკოლაში მართლმადიდებლების გარდა საქართველოს სხვა აღმსარებლობის მოქალაქეები იზრდებოდნენ. კონკორდატის ჩანაწერი ემსახურებოდა არჩევანის თავისუფლებას. შესაბამისად, მოსწავლეებს უნდა მისცემოდათ საშუალება, აერჩიათ ან არ აირჩიათ ეს საგანი. რევაზ აფხაზავას განმარტებით, საპატრირქოს მიერ გახსნილი სკოლები ბევრ შემთხვევაში იყო კარგი, იძულებით სწავლებაზე უფრო მნიშვნელოვანი კი, ბავშვებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა იყო .

მეუფე იოანე გამრეკელის გამარტებით, ეს იყო ოჯახის არჩევანი, თუ რომელ სკოლაში შეიყვანდა ბავშვს. მეუფის განმარტებით, თუ ოჯახი გადაწყვეტდა ბავშვის ა(ა)იპ ,,წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიაში" შეყვანას, ასეთი ბავშვი ვალდებულები იყო ესწავლა სკოლის მიერ არჩეული საგანი. მეუფემ განმარტა, რომ კონკორდატის მეხუთე მუხლიდან გამომდინარე, საგნის არჩევა ხდებოდა სკოლის და არა მოსწავლის მიერ.

მეუფემ საბჭოს წევრებს მოუწოდა, კიდევ კარგად წაეკითხათ კონკორდატის მეხუთე მუხლი და მოეხდინათ მისი სწორი ინტერპრეტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა სიმშვიდისაკენ და განუმარტა რომ, დაწესებულებას ამ საკითხთთან დაკაბვშირებით კითხვები თავდასხმად არ უნდა მიეჩნია, რადგან საუბარი ეხებოდა იმ ნორმების დაცვას, რაც საბჭოს ევალებოდა. გრიგოლ მურღულიას განმარტებით, ხდებოდა მხოლოს საკითხის დაზუსტება. მან დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ პრობლემის შექმნის მცდელობისა და საბჭოს წევრებზე ზეწოლისგან. მან ასევე, განმარტა, რომ საბჭო იქნებოდა კანონდამრღვევი თუ იგი საკითხის გარკვევისას კანონმდებლობას არ დაეყრდნობოდა. საბჭოს მიერ კონკორდატის ინტერპრეტაცია გულისხმობდა მართლმადიდებლური სარწმუნოეის შესახებ საგნების ნებაყოფილობით სწავლებას, რასაც საბჭო მოცემულ შემთხვევაში ეყრდნობოდა.

მიტროპოლიტმა სერგიმ განმარტა, რომ სკოლის სურვილი, იყო საბჭოს ეცნო აღნინული საკონსტიტუციო შეთანხმება, რომლის მეხუთე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობდა საეკლესიო სკოლებს. მისი განმარტებით, საღვთო სჯულის საგნისათვის სავალდებულო სტატუსის მოხსნა არ იყო მართებული.

16:45 სთ-ზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15 წუთით.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ დატოვა სხდომა.

17:00 სხდომა განახლდა. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სკოლების ფუნქციონირება საერთო საგანმანათლებლო ველში. ბავშვების საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, და იმისათვის, რომ საბჭოს მიეღო გონივრული გადაწყვეტილება, სასურველი იქნებოდა საკითხის განხილვის ორი დღით გადადება.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ საკითხის განხილვის გადადებას 25 იანვრისათვის.

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი

3. სპს საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნოდარ ანგურიძემ და თამარ ამზაშვილმა. ექსპერტებმა აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები ავტორიზაციის თითოეული სტანდარტისათვის.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლამ შეიცვალა ფაქტობრივი მისამართი. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა შენობის მეორე სართულზე. სკოლაში სწავლობდა 66 ბავშვი, ყავდათ თითო კლასი პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით. ჰქონდათ 12 საკლასო ოთახი, 125 ერთადგილიანი მერხი და სკამი. სკოლას ჰქონდა ასევე დასაწყობებული მერხები, მაგრამ საკლასო ოთახები მეტს ვერ დაიტევდა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მესამე სართულზე იყო თავისუფალი ფართი, რომელიც გასარემონტებელი იყო. სკოლის დირექტორის განმარტებით, თუ სკოლაზე მოთხოვნა მოიმატებს და დააპირებენ გაფართოებას, მესამე სართულზე ავა ადმინისტრაციის ოთახები და გამოათავისუფლდება მეორე სართულზე ფართი საკლასო ოთახებისთვის.

სკოლას სპორტული დარბაზი დაქირავებული ჰქონდა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისგან, გარდა ამისა მათ ჰქონდათ ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან სატრანსპორტო მომსახურების შესახებ. სპორტის გაკვეთილები ტარდება სამშაბათს და პარასკევს. აღნიშნულ ფართში სკოლა ატარებდა ტანვარჯიშის გაკვეთილს, თუმცა სკოლას დაქირავებული ჰქონდა სარდაფის ფართი, რომლის გარემონტების შემდეგ თავისივე ფართში ჩაატარებენ გაკვეთილებს.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით

სკოლას ჰყავდა 21 თანამშრომელი, აქედან 14 პედაგოგი. 2 პედაგოგი ითავსებდა ადმინისტრაციულ თანამდებობას. 14-დან 3 პედაგოგი არ იყო ჩართული სქემაში. ესენი იყვნენ 2-სპორტის და 1 ხელოვნების მასწავლებელი. ექსპერტების იქ ყოფნაში სკოლამ

მიიღო ხელოვნების ახალი მასწავლებელი, რომელიც ჩართული იყო სქემაში. ახალი მასწავლებლის მიღება მოხდა შინაგანაწესით გაწერილი პროცედურის შესაბამისად. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლამ შესწორებები შეიტანა ხელშეკრულების ფორმებში და დაამატა შვებულების ნაწილი, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების ნაწილი და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული, იგი აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას და განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ პირველ საფეხურზე და ფუნქციონირებდა 3 საგნობრივი კათედრა: დაწყებითი კათედრა, ლინგვისტურ-საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა და სპორტისა და ესთეტიკის კათედრა. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა ხარვეზი. სკოლა დამატებითი მომსახურების სახით არ სთავაზობდა არაფერს, მხოლოდ მიმართულები იყვნენ ესგ- მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რადგან სკოლას მოუწია ექსტრემალურ პირობებში ფართის შეცვლა. მშობლები კმაყოფილები არიან, თუმცა მე გამოჩნდა კითხვა, თუ ასეთი შესანიშნავი სკოლაა, სად აპირებენ მოსწავლეები სწავლის გაგრძელებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ აპირებდა სკოლა განვითარებას, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აპირებდნენ დამატებითი ფართის ყიდვასა და შემდგომ გაფართოებას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს საერო სკოლა მაია მზარელუასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს საერო სკოლა მაია მზარელუას (ს/კ: 239867872) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

17:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე